საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეზან ხორნაბუჯელი

ვეზან ხორნაბუჯელი, ხორნაბუჯის (კამბეჩოვანის) ერისთავი VI ს-ში. ვ. ხ-ის ერისთავობა ემთხვევა ქართლში ირანელების ბატონობის პერიოდს; იგი შაჰის ირანელი მოხელე იყო; კამბეჩოვანში ერისთავად დანიშნა სასანური ირანის ცნობილმა მხედართმთავარმა, აზერბაიჯანის მარზპანმა, ბაჰრამ-ბარ-ბაჰრამ გუშნასპმა (ჩუბინად წოდებული). დაახლ. VI ს. 70-იან წლებში, ირანელთა ბატონობით უკმაყოფილო ჰერები, რ-თაც ასამ და ვარაზვარდ ბაგრატიონები მეთაურობდნენ, აჯანყდნენ და ვ. ხ. მოკლეს.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ.1, თბ., 1955.

ლიტ.: პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი